ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1605383

ნომერი: AR1266882

თარიღი : 19.11.2014

გაცემის თარიღი : 24.11.2014

გაცნობის თარიღი : 24.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559
- თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი AR1266882 (19.11.14.) განაცხადის პასუხად გაცნობებთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები #1081 (25.07.11.), რომელშიც ითხოვთ ცვლილებას საპროექტო ობიექტის ფუნქციის ცვლილების გამო მომზადებულია მოქალაქე თემურ კვირცხალიას მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისად მასში ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს იგივე განმცხადებლების ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს მათი ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა. ასევე შესაძლებელია ძველი განმცხადებელი ან მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად.

ამასთან, რადგან ხევძმრის ქ. #4–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუქციური შენობის განსათავსებლად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გადამეტების მიზნით კ–2=3.2 გაცემულია ქალაქ თბილისის მერის #967 (17.05.13.) განკარგულება, ობიექტის ახალი ფუნქციის განვითარებისთვის საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან ძველი ,,გაპი“–ს განმცხადებელმა მოითხოვოს #967 (17.05.13.) განკარგულებაში ცვლილებაც ახალი ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებით.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელების ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 19 ნოემბერს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 03 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 09 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.